კვირა, 21 მარტი 1904 წ.

1877 წელიწადი ოც-დამერვე 1904

კვირა, 21 მარტი 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12 თვით	10 მ.	— კ.
11 ,,	9 ,,	50 ,,
10 ,,	8 ,,	75 ,,
9 ,,	8 ,,	— ,,
8 ,,	7 ,,	25 ,,
7 ,,	6 ,,	50 ,,
6 ,,	6 ,,	— ,,
5 ,,	5 ,,	50 ,,
4 ,,	4 ,,	75 ,,
3 ,,	3 ,,	50 ,,
2 ,,	2 ,,	75 ,,
1 ,,	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 73 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 73

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ, თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

გამოვიდა ჲ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ღალატი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.

რონინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველი ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

ფოტოგრაფია

რონინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

იჯარით აჰიღო

და სრულიად ახლად მოავწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი ტარასა სიმონის მემომცემიძე.

ჩვენ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ჩვენს ხელის-მომწერთ შეუძლიანთ დაიბარონ რედაქციისაგან

„საქართველოს კალენდარი“

ვალ. გუნიასი, გამოცემული წ.-კ. საზოგადოების მიერ, დაკლებულ ფასად: ტფილისს გარეშე გაგზავნით 1 მან. 30 კაპ. მაგიერ 70 კაპ., ხოლო თვით რედაქციაში — მანათის ნაცვლად—50 კაპიკად.

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

დაარსებულია 1847 წელს

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664.808 მან.

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლი № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—27)

რედაქციისაგან

გაზ. «ივერიის» დილის ახალი დეპეშები დაიბეჭდება გასასყიდად მხოლოდ იმ დღეს, როდესაც **საყურადღებო ამბები** მოვა შორეულ აღმოსავლეთიდან.

საჭიროა დეპეშების გამყიდავები.

მსურველთ მიჰმართონ ექვთიმე ხელაძის სტამბას (იარმუკა, სომხ. სემ. სახლები).

ვისაც სურს პროვინციაში დეპეშების გაყიდვა იკისროს, მიჰმართოს «ივერიის» რედაქციას და შეატყობინოს, რამდენი ცალი ეგზავნოთ მხოლოდ ოც ცალზე ნაკლები-კი არ შეიძლება.

გამოვიდა და ისყიდება ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების‘‘ წიგნის მაღაზიაში

ჩემი თავგადასავალი.

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

სამეურნეო ბანკის

წევრთა წლიური კრება დანიშნულია კვირას, 21 მარტს, დილის თერთმეტ საათზე, ბანკისავე დარბაზში.

კრებას განსახილველი აქვს შემდეგი საგნები:

1) წლიურის ანგარიშის შესახებ საბჭოს მოხსენება.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) წლიური ანგარიში.
4) მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
5) კომისიის მოხსენება სამეურნეო ნაწარმოების დაგირავების შესახებ.
6) გამგეობის წევრის არჩევანი, თ. ვლ. სვ. მიქელაძის მაგიერ, რომელსაც ვადა გაუთავდა. არჩევანი საბჭოს ორის წევრისა ი. გ. თულაშვილისა და ი. ვ. საგინაშვილის მაგიერ, რომელთაც აგრეთვე ვადა გაუთავდათ, და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა. (3—1).

გამოვიდა და ისყიდება

შორეულ აღმოსავლეთის დასურათებული

რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».
ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩნაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, ელისაბედის ქუჩა, № 41.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ნ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ზ. ს. ელვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა**. 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი**.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памяти. Воронцова.

წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ა. დ. ლამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ზრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა 1—2 საათ. ყოველ დღე.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი 21 მარტი.

დღეს უნდა შესდგეს ჩვენის სამეურნეო ბანკის კრება. ჩვეულებისამებრ, პირველი კრება ამ საზოგადოებისა, საკმარის წევრთა დაუსწრებლობისა გამო ვერ შესდგა და დღეს დანიშნულია მეორე კრება წესდების ძალით, ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. მაშასადამე, დღესვე გადასწყდება, ასე თუ ისე, ყველა განსახილველი საგანი.

ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში ჩვეულებად გარდაიქცა წევრთა კრებაზე დაუსწრებლობა. რაგვარი დაწესებულებაც გინდა აიღოთ: საკრედიტოა იგი, საფილანტროპო თუ სამეცნიერო, პირველი კრება იშვიათად შესდგება ხოლმე და მეორეზედაც ძალიან მცირე რიცხვი იკრიბება ამგვარი მოვლენა ცხადი ნიშანია ჩვენის საზოგადოების გულგრილობისა და დაუდევრობისა.

საქმე ის-კი არ არის, რომ უთუოდ ამა თუ იმ დღეს წევრნი ვერ მოიყრიან ხოლმე თავს, არამედ ის უგულობა და უზრუნველობა, რომელიც ამით მტკიცდება.

თუ რომელისამე დაწესებულების წევრი თავის ქონებისა და ავლა-დიდების პატრონობისათვის განსაკუთრებულ ღონისძიებით უნდა მოიწვიო, სჩანს, ამ წევრს მიუტოვებია ზრუნვა ამ თავის ქონებისათვის და არ დასდევს, რა მდგომარეობაშია მისი მოვლა-პატრონობა.

რითი უნდა აიხსნას ამგვარი გულგრილობა და დაუდევრობა?! ჩვენ ვშიშობთ, ამის მიზეზად დავასახელოთ ესრედ-წოდებული «კვიეტიზმი», ეს უდიდესი ფაქტორი საზოგადოების პირქვე დაცემისა. ჩვენის ერის დღევანდელი მდგომარეობა, უიმისოდაც შებორკილი და დაუძლურებული სოციალური ძარღვის ცემა,—მოითხოვს ჩვენის საზოგადოებისაგან დიდს მხნეობას, მუდმივს ფხიზლობას და სიფრთხილეს ყოველს საქმეში. დრო არის შევიგნოთ ესა და უსაქმობას თავი დავანებოთ. საქმე-კი მეტად ბევრი გვაქს. ყოველი ჩვენი დაწესებულება ძლივს-ღა სუნთქავს, მათს მზრუნველებს და მწარმოებლებს ისე მიჰყავთ საქმე, თითქო მათთვის არც კონტროლია, არც ზედამხედველობა, არც საზოგადოების აზრი. .

საზოგადოდ, ქართველებმა არ ვიცით დროით ხეირიანი აწონ-დაწონა საქმისა და შესაფერ კაცების მოძებნა. აპილპილებულისა და აჩქარებულის «რეჩების» შემდეგ, დაღლილ-დაქანცულნი შევუდგებით ხოლმე მზრუნველთა და საქმის მწარმოებელთა ამორჩევას და ხშირად ისეთს მივაჩეჩებთ ხოლმე საქმის გაძღოლას, რომელიც სრულიად მოუმზადებელი და უვარგისია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველის აზრის განხორციელება და საქმის კეთილად წარმართვა, უპირველეს ყოვლისა, არჩეულ კაცზეა დამოკიდებული, მის უნარისა და გამარჯვებისაგან უნდა წარმოსდგეს. თუ საქმეს ხეირიანი პატრონი და მწარმოებელი არა ჰყავს, ეს დაწესებულება, რაც უნდა სასარგებლო და ფესვ-გადგმული იყოს, დაღუპვის გზას ადგია და მხოლოდ მცირეოდენს სარგებლობას თუ მოუტანს ქვეყანას.

ჩვენი სამეურნეო ბანკი დაბადებიდან დღევანდლამდე თითქო განგებ ერიდება საქმეს, რომელიც უმთავრესად მისი გასაკეთებელია, მისი უწმინდესი მოვალეობაა.

როცა ჩვენის ეკონომიურის აღორძინებისა და ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებელ ფაქტორად თითქმის ერთხმად ცნობილ იქმნა ჩვენის მეურნეობის წელში მომაგრება, როცა ამ მეურნეობის გასაუმჯობესებლად საჭიროდ დავინახეთ სამეურნეო კრედიტი, შეგვიდგა თავის ტეხა ამგვარ ბანკის დასაარსებლად. ძნელი იყო ფულის შეკრება, ძნელი იყო ამგვარ ბანკის დაარსება, მაგრამ, როგორც იყო, ჩვენი სურვილი ასრულდა. დაარსდა სამეურნეო ბანკი. მისი აზრი და დანიშნულება ცხადია და ამის შესახებ ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო. მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას მხოლოდ ერთს მეტად დიდმნიშვნელოვანს ძხარეს ამგვარ ბანკისას. როცა ბანკი არსდება განსაკუთრებულის აზრით, როცა ბანკს აქვს დავალებული კრედიტი მოუპოვოს ამა თუ იმ განსაკუთრებულ საქმეს, მაშინ ბანკი მარტო საკრედიტო დაწესებულება-კი არაა, არამედ ამ განსაკუთრებულ საქმის ამაღორძინებელი და განმავითარებელი ძალაა. ის არის შრომის კერძო საქმისაკენ მიმართველი და ამიტომაც მთელი თავისი ძალა და ენერგია ამ საქმეს უნდა მოახმაროს, ამ საქმეს შეალიოს. ჩვენის სამეურნეო ბანკის სპეციალური დანიშნულება მეტად დიდმნიშვნელოვანია ჩვენთვის და ჩვენი საზოგადოებაც ვალდებულია ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ ბანკმა თავისი დანიშნულებმ შეასრულოს, თავისი ძალა და ღონე განსაკუთრებით დავალებულ საქმეში გამოიჩინოს.

აქამდე სამეურნეო ბანკი მეუნეობისათვის არც ჰფიქრობდა და არც ზრუნავდა. რამდენჯერაც ჩამოუგდეს ამაზედ ბაასი, სიტყვა ბანზე ააგდეს და ვერ იქმნა და ბანკი ვერ დავაყენეთ თავისს ნამდვილ გზაზედ.

ჩვენის აზრით, ამისათვის საჭიროა, რომ ისინი, ვინც ბანკს სათავეში უდგანან, უფრო კარგად ჩაუკვირდნენ ბანკის განსაკუთრებულს დანიშნულებას და მისს სამსახურს ეცადნენ.

დღევანდელს კრებაზე ერთი საყურადღებო საგანი არის გადასაწყვეტი, სახელდობრ, როგორ უნდა გვესმოდეს ბანკის მეურნეობისათვის მსახურება. ზოგს ჰგონია, რომ ბანკი, რაკი სამეურნეო ეწოდება, მიწად-მფლობელთ, მემამულეთ უნდა ემსახურებოდესო. ეს, ჩვენის აზრით, დიდი შეცდომაა. მიწად-მფლობელთა გარდა, მიწად-მომქმედნი, მამულის მომვლელნი და შემმუშავებელნიც არიან, რომელთაც დიდად უჭირთ ხელის გამართვა, კრედიტის მიწოდება. უკრედიტოდ ხელის-გასამართ ფულის უქონლობით, მევახშეობის გაძლიერებით, ლამის ამოიხრჩოს დიდი უმრავლესობა ნამდვილ მხვნელ-მთესველთა, მიწის ნამდვილ მუშაკთა. იმათი უმეტესი ნაწილი, ვისაც მოჰყავს აუარებელი ჭირნახული და ვინც მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენელია ქვეყნისა, საძიკველია ჩვენის კეთილ-დღეობისა, ყოვლად უმწეოდ არის დატოვებული და იჩაგრება, უბედურდება, იმიტომ, რომ ვერც დროზედ და ვერც ხელ-მისაცემ პირობით ვერ უშოვნია სესხად ორიოდე თუმანი. იჩაგრება და უვარდება ხელში მევახშეებს, როგორც ბუზი, ისე ებმის ობობას ქსელში და, ძალ-ღონე გამოლეული, ხდება მსხვერპლი სიღარიბისა, უმეცრებისა, სხვა-და-სხვა სენისა და, ბოლოს, უდროო სიკვდილისაც.

სამეურნეო ბანკს აქვს ყველა ამ უნუგეშობისა და უბედურების წამალი, აქვს ის მადლი, რომელსაც წვრილ კრედიტს ეძახიან და რომელიც, თუ გონივრულად, მხნედ და საქმის სიყვარულით სწარმოებს, სასწაულთ-მომქმედია ჩვენის ხალხის დაცემულ მეურნეობისათვის.

აი ეს მადლი და წამალი უნდა მიაწოდოს ჩვენმა ბანკმა ხალხს, მიწად-მომქმედს, მიწის ოფლით მრწყველს,—საագენტოების დაარსებით უმთავრესად იმ ადგილებში, სადაც სისხლის მწოველ ობობას თავისი ქსელი გაუბამს ხალხის ამოსახრჩობად ოსტატურის მევახშეობით.

ამას-კი დიდი მუშაობა უნდა, დიდი მხნეობა, დიდი თავის ატკივება და გვყავს-კი ასეთნი მუშაკნი, ასეთნი მხნე და ხალხის გულ-შემატკივარნი?!

შეუძლებელია, რომ ქვეყანას ამისთანა კაცნი არა ჰყავნდეს!

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

პორტ-არტურის გადანათვლა.—პეტერბუგელ წარჩინებულ ჩინოსანთა. აზრი.—წვრილი ამბები.—კორესპოდენტის ხეტიალი მანჯურიაში.

1858 წელს ინგლისის გემი «ალჟერინო» შესულა ჩინეთის ნავთსადგურში, რომელსაც ლი-შუნ-კოუ ეწოდება. რადგან ამ ნავთსადგურისა წინად ევროპიელებმა სრულიად არა იცოდნენ რა და ეს პირველი გემი გაჩერებულა უცნობ ადგილს, ინგლისელებმა ნავთსადგურს გემის კაპიტნის სახელი დაარქვეს—არტური.

1898 წელს ეს ნავთსადგური რუსეთის მეზღვაურებმა დაიჭირეს და რუსეთის დროშა ააფრიალეს. ჩინელები გალაგებულიყვნენ. ნავთსადგური განადგურებული იყო.

გაიარა ექვსმა წელმა და ეს ნავთსადგური საუკეთესო ციხე-სიმაგრედ გადაკეთდა. ეხლა-კი, რუსის სისხლით მოკირწყლული, რუსეთის სათაყვანოდ გადაიქცა.

ყველა ჩვენგანიო,—ამბობს «მოსკ. ვედომოსტი»—იძინებს თუ იღვიძებს, სულ პორტ-არტურზე ჰფიქრობს, მისი ბედ იღბალი უნდა შეიტყოსო. ამ გარემოების გამო დროა პორტს ინგლისური სახელი შევუცვალოთ და წმინდა რუსული სახელი ვუწოდოთ, რუსის გვარს დავუახლოოთო.

განა სამართლიანი არ იქნება, პორტ-ნიკოლოოზად მოვნათლოთ? ეს სახელი ჩვენთვის მრავალ-მნიშვნელოვანი და ძვირფასია. ასე იწოდება სასწაულთ-მომქმედი, რუსეთის სათაყვანო და მისის მხედრობის მფარველი წმიდანი.

ასეთივე სახელი ერქვა იმპერატორს, რომელიც რუსეთის დიდებას გულმოდგინედ იცავდა და რომელმაც შორეულ-აღმოსავლეთის საქმეთა გამო ერთხელ სთქვა: «სადაც აფრიალდება რუსეთის დროშა, მისი გაშვება შეუძლებელი-ღაა».

უკანასკნელ, ესევე სახელი ამშვენებს აწინდელ თვითმპყრობელ მეფეს, რომელმაც თავის უავგუსტოების წინაპართა ანდერძისამებრ, თვისი იმპერია გააფართოვა გაუყინავ ზღვის ტალღამდე.

რამდენი საისტორიო ამბავი მოგვაგონდება «პორტ ნიკოლოოზის» ხსენებაზე. ეს იქნება მთელი ისტორია უკანასკნელ სამწუხარო დრომდე. ეს სწორედ შესაფერი სახელი იქმნება, რომელიც განდევნის ვილაც არტურისა და რაღაც ალჟერინოს ხსენებას...

ინგლისური სახელი ციხისა, სადაც იბრძვის რუსის სალდათი და იღვწის რუსეთის მეზღვაური, როგორღაც მკაცრად სჭრის რუსის ყურთა-სმენას... მაშ პორტ-არტური, მარტო უკანასკნელ ამბების გამო-კი არა, არამედ ნამდვილ რუსულ სახელითაც სათაყვანოდ გავიხადოთ».

ერთს უცხოელ კორესპონდენტს უბაასნია პეტერბურგში რამდენსამე წარჩინებულ ჩინოსანთან ომიანობის შესახებ და აი რა ცნობები შეუკრებია:

—

მობილიზაცია დაიწყო 40 დღის წინად. ყოველ დღე ომის ველს 2,000 კაცი თუ იგზავნება, მაშინ 40 დღეს შორეულ აღმოსავლეთში შეგროვდებოდა სულ მეტი-მეტი 80,000 კაცი, ამას რომ 100,000 კაცი დავუმატოთ, რომელთაგანაც ზოგი გზასა დარაჯობს ანუ პორტ-არტურსა და დალნიში არიან, 200,000 კაციც არ შესდგება. გენერალ კუროპატკინს-კი 340—400 ათასი კაცი სჭირდება, რომ კორეაზე გაილაშქროს. გაზაფხული კარზეა. დადნება თოვლი და ყინული, გზები სულ გაფუჭდება. მობილიზაცია უფრო გაძნელდება. ეს წინადვე იცოდნენ პეტერბურგში და ამის გამო ჰფიქრობენ, რომ ორ-სამ თვეზე ადრე რუსის ჯარი მოქმედებას ვერ დაიწყებსო. რასაკვირველია, იაპონელებიც ნაკლებ გაჭირვებას არ გამოივლიან კორეაში. შორეულ აღმოსავლეთის ომი დიდხანს გასტანს. საუკეთესო მოკავშირე რუსეთისა დრო არისო. («რ. ვ.»).

—

ტოკიოდგან «სავ. სააგენტო» იუწყებოდა, რომ რუსის ესკადრა ჯერ-ჯერობით მტრის მოგერებასა სცდილობსო. მართალია, ადმირალი მაკაროვი ნავთსადგურიდგან გამოდის თავის გემებით, მაგრამ არა გვგონია, ბრძოლა გაბედოსო. ადმირალი ტოგო ციხე-სიმაგრის ზარბაზნებს ერიდება და იმიტომ არ უახლოვდება პორტ-არტურს, რომ გემებს შეებრძოლოსო. («რ. ვ.»).

—

ჩინელების 4 კრეისერი 10 მარტს, «ტაიმსის» კორესპონდენტის სიტყვით, შანჰაიდგან ჩრდილოეთისკენ წასულა. გემებზე იარაღი და სამხედრო მასალა სულ იაპონიიდგან არის მოტანილიო. (იქვე).

—

რუსის ჯარი სახელდახელო ხიდს აკეთებს მდინარე იალუზე ვიჯუსთან და ამისათვის ხმარობს მდინარეზე დაჭერილ ჩინელების გემ-ნავებს. რუსების მხედარნი ვიჯუსა და კასანს შუა დადიან დასაზვერად. იაპონიის მხედრები სცდილობენ, რაც შეიძლება, შორს წავიდნენ ჩრდილოეთისკენ და იქაურობა დაათვალიერონ. აფიცრები ამბობენ, რაც უნდა მოგვივიდეს, მაინც ვიჯუმდე ვივლითო. პენ-იანთან 20,000 კაცი უნდა ჰყავდეთ იაპონელებს. არტილერია სუსტი აქვთ, მაგრამ სხვაფრივ კარგად არიან შეიარაღებულნი. («რუს»).

—

პორტ-არტურიდან ნიუ-ჩჟუანს მოსულმა აფიცრების მეუღლეებმა ამბავი მოიტანეს, რომ იაპონიის ფლოტმა პირველად ქალაქსა და ციხე-სიმაგრეს დასავლეთიდგან დაუშინა ყუმბარა. 38 მოკლულია და 100 მეტი დაჭრილი. ქალაქის ქვემო უბანში ერთმა 12 დიუიმიანმა ყუმბარამ ერთი აფიცერი და 42 სალდათი მოჰკლა და დასჭრა. («ბ. ვ.»).

—

«სტანდარდი» იუწყება: პორტ-არტურის ერთს მხარეს ახლად დაამწკრივეს ზარბაზნები. უკანასკნელ იერიშის დროს ამ ზარბაზნებმა დიდი სამსახური გაუწია რუსეთის ფლოტსაო. რუსები საჩქაროდ ამაგრებენ «გოლუბინაია ბუხტას».

იტყობინებიან, რომ დაზიანებული კრეისერი «პალადა» შეუკეთებიათ და ზღვაში ჩაუშვიათო. («რ. ვ.»).

—

ვლადივოსტოკიდგან ბრძანება გაუგზავნიათ კუნძულ პუტიატინზე, რომ მცხოვრებლებმა დაამზადონ ხმელეთზედ გადასაყვანად ცხენები და საშინაო საქონელი. რადგან უფრო სასარგებლო ამ საქონელში ირმებია და მათი გადაყვანა ხმელეთზე შეუძლებელია, ხალხს ებრძანა, თუ ვინიცობაა მტერი დაეცეს კუნძულს, ირმები სულ დახოცონ და ხორცი გადაიტანონ. ამასთანავე, ბრძანება სხვა კუნძულეაზედაც გაიგზავნა, რომელიც ვლადივოსტოკს ახლო არის. ირმები კუნძულებზე კარგს შემოსავალს აძლევდნენ მცხოვრებელთ. («ვოსტოჩნი ვესტ.»).

—

ბლაგოვეჩენსკიდგან იტყობინებიან, რომ გზები გაფუჭდა და სანოვაგე ქალაქში აღარ მოაქვთო. ამ დღეებში ფოსტის კანტორა ფულსა და ნივთებს აღარ მიიღებს გასაგზავნად, ვიდრე გემებით მიმოსვლა არ დაიწყება. ფული და ნივთები, ბლაგოვეშჩენსკს სხვაგნიდგან გამოგზავნილი, სრეტენსკში დარჩება. («მ. ვ.»).

—

«კენიგსბერგის გაზეთი» იუწყება: რუსეთს განუზრახავს გემები იყიდოს გერმანიაშიო. როგორც ამბობენ, ერთმა კერძო საზოგადოებამ მსწრაფლ-მოსიარულე გემი მიჰყიდა რუსეთს, რომელიც კარგა ხანს ჰამბურგის ნავთსადგურში იდგაო. გაზეთი ირწმუნება, ვითომც ჰამბურგიდგან მოსულ ცნობებით, ეს ამბავი მტკიცდებაო. ამას გარდა «ჰამბურგ ამერიკის საზოგადოებამაც» ერთი მსწრაფლ-მოსიარულე გემი მიჰყიდა რუსეთს, რომელიც მალე უნდა წავიდეს დანციგს და შემდეგ კრონშტადტში. გემი «ბისმარკიც» მალე გაიგზავნება კრონშტადტს. ამ ორ გემისათვის მეზღვაურნი უკვე მზად არიან (იქვე).

—

კორესპონდენტის ხეტიალი.

გაზეთ «რუსკია ვედომოსტ»-ს თავისი კორესპონდენტი გაუგზავნია შორეულ აღმოსავლეთში, რომ ომის ამბები ატყობინოს, მაგრამ ეს კორესპონდენტი ტყუილად გარჯილა. აი რას იწერება ხარბინიდგან 21 თებერვალს:

11 თებერვალს, საღამოს 10 საათზე, სამხედრო მატარებელი ხარბინს მივიდა, სადაც მეორე დღის 3 საათამდე დარჩა, რადგან ჯარი სხვა მატარებელში უნდა გადამჯდარიყო. მე სადგურის ბუფეტში შევედი. იქ რკინის გზის ბატალიონის ერთ აფიცერთაგანს ვკითხე, როგორ იყო სუნგარის ხიდი რომ უნდა აეფეთქებინათ იაპონელებს-მეთქი.

აფიცერმა გადაიხარხარა,—ამისთანა არა მომხდარა-რაო. ჯაშუშები და მათი ჩამოღრჩობა რუსთის დეპეშათა სააგენტოს მოგონილიაო. ერთს აფიცერს მოეხსენებინა თავის უფროსისათვის, რომ ორი ჩინელი ხიდს ქვეშ გადიოდა ყინულზე და დარაჯებმა გარეკესო. იმათ არა სცოდნიათ, რომ ხიდს ქვეშ გასვლა აკრძალულია. ამ გზაზედ ყველა ხიდს დარაჯები უდგანან და მათი აფეთქება შეუძლებელია. მართალაც, გზაზედ მე თვითონ შევნიშნე, რომ ყოველი ხიდი ჯარის კაცებით იყო გარშემორტყმული და აქეთ-იქით ზარბაზნებიც იდგა. გზაში სხვა აფიცრებმაც მითხრა, რომ სუნგარის ხიდის ამბავი ტყუილი გამოდგა...

13 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, მუკდენს მივედით. მხოლოდ წინა სადგურზე გავიგე, რომ ადმირალ ალექსეევს აქ გადმოეტანა თავისი რეზიდენცია. ჩვენმა თანამგზავრმა აფიცრებმა მოინდომეს მთავარ-მართებლის ნახვა. მატარებელში რომ უსაქმოდ არ ვყოფილიყავ, მეც მოვინდომე შტაბში მისვლა, იქნება საყურადღებო გამეგო რამე. მე წამომყვა იტალიურ გაზეთის «ტრიბუნას» კორესპონდენტი, რომელიც ჩემსავით პორტ-არტურს მიდიოდა; ჩვენ მიგვიღო საგენერალო შტაბის პოდპოლკოვნიკმა მ.

— თქვენ, ბატონებო, ძალიან ადრე გარჯილხართ. მე უნდა გამოგიცხადოთ, რომ ეხლავე უკან მიბრძანდეთ.

ამისთანა გადაწყვეტილებამ სულ გამაშტერა. მე ვაჩვენე შტაბის უფროსს დეპეშა, რომლითაც ნებართვა მეძლეოდა ომის ველს წავსულიყავი.

— მე აქ მოვედი, პოდპოლკოვნიკო, ნებართვით, თორემ ერთს ნაბიჯსაც არ გადმოვსდგამდი. შტაბის უფროსმა მაცნობა...

— ეგ სულ ჩემი ბრალია... მაგრამ არც ჩემი ბრალია. თქვენმა რედაქტორმა ნებართვა ითხოვა, რომ აქ მოსულიყავით, ხოლო დრო კი არ განუცხადებია. თხოვნაზე პასუხი მიიღო, ხოლო როდის უნდა მოსულიყო—ეგ სულ სხვა საქმეა.

— ეხლა ჩემი აქ ყოფნა რატომ არ შეიძლება?

— აი რატომ: ამ კამპანიას დიდი მოფიქრება უნდა. ყოველი მოუფიქრებელი ნაბიჯი საქმეს ავნებს. პორტ-არტურში ჩვენ ვენდეთ უცხოელთა გაზეთების კორესპონდენტებს და ერთმა მათგანმა-კი დაწვრილებით დაბეჭდა ნამდვილი ცნობები ჩვენის ჯარის მოძრაობის შესახებ. ამისთანა უადგილო საქციელმა, მეტი რომ არა ვსთქვა-რა, გვაიძულა, გაგვეძევებინა უცხოელი კორესპონდენტები კვანტუნიდან და საერთოდ ომის ველიდან. იმავე საბუთით, რუსის კორესპონდენტებსაც აღარ ვაყენებთ. მეორე მიზეზი კიდევ ის არის, რომ სამხედრო ცენზურა უნდა დაწესდეს. ათობითა და ოცობით რომ იყვნენ კორესპონდენტები, მაშინ მთელი კანცელარია უნდა დაარსდეს, რომ მათი ნაწერები გადაისინჯოს. ეხლა-კი ცენზურა ჯერ-ჯერობით ვერ მოგვიწყვია.

— მაშ რა ამბები იბეჭდება ეხლა გაზეთებში ომის ველიდგან, მეტადრე სააგენტოს დეპეშები?

— თქვენ, ბატონებო, შემდეგში მხოლოდ ჩემთან გექმნებათ საქმე, მე ვარ ცენზორი კორესპონდენციებისა. მე თქვენ გიცხადებთ, რომ აქამომდე არავითარი ამბავი ჯარის მოქმედების შესახებ რუსულ

ფელეტონი

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

წელიწადი მეორე

№ 12

სააღდგომოდ.

ხეები გატიტვლებულნი
თეთრ-მწვანედ იმოსებიან;
ათასნაირნი ყვავილნი
დღითი-დღე იბადებიან.
მაგრამ ხეებს მუშა ხალხი
მისდგომია დასაჭრელად,
და ყვავილებს ქალნი, ბავშვნი
მისევიან დასაწყვეტად.
ბალახ-ბულახი მძინარი
იღვიძებს, ცდილობს ამოსვლას;
აღჭყავებულის სახითა
სურს მიეგებოს აღდგომას.
მაგრამ ცხენი, ძროხა, ცხვარი
ბალახ-ბულახს სჭამენ, სრესენ;
რომ აღდგომას მიეგებონ,
იმის ნებას არ აძლევენ.
აი, მაღლა, ხისა წვერზე,
სტვენს შაშვი გახარებული.
ვის არ ახარებს სოფელი,
ბუნება აღყვავებული?
მაგრამ შაშვსა მომღერალსა
უცბად ჩაჰკრა ბრჭყალი ქორმა,
თან წაიღო უსამართლომ,
წაამწარა მით აღდგომა.
ქვემძრომნიც გახარებულნი
მიწიდგან უხვად მოდიან,
გაზაფხულისა იმედით
აღდგომას ეგებებიან,
მაგრამ ქვემძრომთ ზემავალნი
ფეხებს ადგმენ, თავს უტეხენ.
სუსტ მართალთა ცრუნი მძლავრნი
ძლიერებით დღეს უსპობენ.
სოფლიდგან გლეხნი მოდიან
ტანთ-საცმლის საყიდლათა;
მათ წელსაც ისე ატყუებენ,
ვით ატყუებდნენ ძველათა...
გლეხებს მაინც უხარიათ,
აღარ ახსოვსთ ტანჯვა, შრომა,
თუმცა ღალის, დრამის ფულებს
ვერ გადუხდის მათ აღდგომა.

კორტოხა.

—

ამბავი რწყილებთან ბრძოლისა.

გუშინ-წინ ღამეს, მილულე თუ არა ცოტათი თვალები, რწყილებმა ერთბაშად იერიში მოიტანეს ჩემზე, გარს შემომესივნენ... გაჩაღდა ბრძოლა... ვცდილობდი, როგორმე მომეგერებინა, ბევრი ვაფათურე, ხელები, მაგრამ ვერას გავხდი, ვიყვირე, მომეშველნენ ჩვენებიც... ბრძოლამ კარგა ხანს გასტანა, თუმცა შედეგი დიდი არაფერი ჰქონდა, მხოლოდ ძილი დამიფრთხეს მეცა და ჩვენებსაც.

გათენებამ მოატანა... დილის შვიდ საათზედ ჩემი მტრები აღარა სჩანდნენ, ხელმეორედ დავწექი. როგორც იყო, ჩამეძინა... ღვთის მადლით დილის ათ საათამდის აღარაფერი ამბავი აღარ მომხდა რა... ეჰვი არაა, წინათვე ჰქონიათ განზრახული ჩემს მტრებს ამ გვარი ერთბაში იერიშის მოტანა. ამისთანა თავდასხმას, სწორედ გითხრათ, უსვინდისობა და უპატიოსნობა ვუწოდევი, მაგრამ, ერთის მხრით, არც გასამტყუნარნი არიან, ეყოთ რაც გაჭირვება გამოიარეს სამი-ოთხი თვე ამ სუსხიანს ზამთარში.

მაინც არ დავტოვე ბრძოლის ველი; ეხლა ყველასათვის ბრძოლაა საჭირო: ან გამარჯვება და ან დამარცხება, თორემ თუ შეუდრკი მტერს, უფრო ძლიერ გაინავარდებს, მეც მოვემზადე საბრძოლველად: სამსახურიდან დაბრუნებისას აფთიაქთან გამოვიარე, მომაგონდა, რომ რწყილების საკლეტი ყუმბარები იყიდება აი ვიყიდე... აღარ მეშინოდა, რადგან აღვიჭურვე იარაღითა.

შესრულდა თუ არა საღამოს რვა საათი, შემოვუწყე გარშემო ჩემ საწოლს ყუმბარები, საცდელად-კი ერთი რწყილს, რომელიც ბრძოლის დროს დავიჭირევი და წუმწუმის ყუთში მყავნდა დამწყვდეული, ვესროლე და მართლაც რომ ჰკუა დავუბნიე. დავრწმუნდი, რომ აღარ უნდა მშინებოდა მტრისა და არხეინად გავიშხლართე საწოლში...

ჩამეძინა... მაგრამ ჩემი იმედები მთლად გაცრუვდა: ვერც ყუმბარებმა მიშველეს რამე, არ ვიცი რა ხერხი იხმარეს და იმ ღამეს კიდევ მოიტანეს იერიში... მთლად გადავირიე... ვტაცე ხელი ყუმბარების პარკს, რომელიც დამალული მქონდა ბალიშ ქვეშ და დავუწყე სროლა... ბრძოლამ კარგა ხანს გასტანა... ძალიან გადავრჩი, ზარალი დიდი არ მოუყენებიათ... ბრძოლის შედეგს მალე „შურდულითვე“ გაუწყებთ, მაგრამ დაწვრილებით კი არა, რადგანაც შეიძლება სხვა რწყილებმაც წაიკითხონ, ვაი თუ გული გაუკეთდეთ და ისინიც მომესივნენ.

კენჭი.

—

ამონაკვნესი.

არ გამახარა სოფელმა,
ტანჯვით ამივსო გულია;
ცხარე ცრემლებით მატირა
და მომიმატა წყლულია.
აღარ მაკმარა სიმწარე
უდროოდ დამაბეჩავა,
და ნორჩი გული, მღელვარე,
დააჭკნო, დააჩიავა...
ძმაც მტრულად მიცქერს შურით
მას აღვსებია თვალები;
გულ დამშვიდებით უყურებს,
უმართლოდ რომ ვიტანჯები.
თვით მეგობარიც გამირბის,
რომ მხედავს დამარცხებულსა;
საშველად ხელს აღარ მაწვდის
სიყრმიდან მისსა ერთგულსა.
დღეს სხვასა ეტრფის ისიც-კი,
ვისაც ვუყვარდი ნაზადა,
ერთ წუთს ვერ სძლებდა უჩემოდ,
მივაჩნდი ფიანდაზადა...
მეფიცებოდა, ერთგული
ვიქნები შენი მარადო,
შენთვის ავიტან ტანჯვებსა
და გეყოლები ფარადო...
ობლად შთენილი ობლადვე
სიმწარეს გავუმკლავდები,
უსამართლობას შევებრძვი
და მტერს არ დაუვარდები.
არ გამახარა სოფელმა,
ტანჯვა მარგუნა წილადა,
და ჯერაც ნორჩი ჭაბუკი
გადამაქცია მწირადა.

დ. ელპიტიშვილი.

—

შორიდამ.

მოყვარე მტერი ყოვლისა—
მტრისაგან უფრო მტერია.
რუსთაველი.

ჰმ!,. აკი მოგახსენებდით, რომ ჩვენი «უშგულიანცი» მძლავრი კაცია-თქო!., მაშ თუ არ მძლავრი და ჭკუის კოლოფი, ასეთს «უკუღმართს», მიუდგომელს შარას როდი აირჩევდა სამოღვაწეოდ სუსტი, უვიცი!.. მაგრამ ხომ გაგიგონიათ: კარგს მთქმელს კარგი გამგონეო, სწორედ იმის ბედსაც აგრე მოსდის. ან რა გასაკვირია, რომ ყრუ მთის ხალხი (სვანები) ვერ მიჰხვდნენ, რა სჯობს მათთვის... ისინი (სვანები) მაინც თავისას გაიძახიან: «ქართული და ქართულიო, უდედა-ენოთ ჩვენ ვერავითარს სწავლას და განვითარებას ვერ ვეღირსებითო.

ეჰ, თქვე ბრიყვნო, თქვენა!.. განა ვერ მიხვდით, რომ იმისთანა გაიძე-ძვერა, მელა-კუდა, ცქნაფ ადამიანებს მეტი ბაზარი აქვსთ?.. ჰო, და უნდა დარწმუნდეთ, რომ ასეთი მოხერხებული ვაცი და ისეც თქვენი «ძმა», რაც შეიძლება, ეცდება თქვენს უკან-სვლას და მისს ამოფრენას!..

დიდი! ის რომ შორს გამჭვრეტი ვაცი არ იყვეს... უკაცრაოდ ვაცი-მეთქი, მაგრამ სულ ერთია... ჰო, იმს მოგახსენებდი, შორს გამჭვრეტი არ იყვეს, ხომ გაამჟღავნებდა სვანების ჯიუტობას, ურჩობას და მაშინ სულ დაიღუპებოდით, მაგრამ—არა: ნუ გგონიათ ჩვენი «გაბრა მოღალატე... ის ყოველ კვირა ლაპორტებს აგზავნის «იქ», საიდგანაც ლაფი კვერცხებს ელის, და სწერს:

სვანეთის საქმე შესახებ სწავლისა დიდებულად განაწყობილი... სკოლები ისეა მოწყობილი აღსავსე, რომ სოფლიდან არავინ გვეკარგება უდედლისა გამო... თითო სკოლაში ას-ასი მოსწავლეა ოთხმოცდა თუთმეტი ნაკლებმა!...

აი დალოცვილო ღმერთმან შენი გაჩენა, დედის-დედებით გული ნუ დაგწყდება, რომ ასე ოინებ-მრავალი თანამოაზრენი გყავს და აწ მომავალი, მერწმუნე, ღონისძიება დააფიქრებს შენს დიდ ღვაწლს. კიდევ კარგი, რომ გული არ დასწყდეთ უშგულიანცს და გვასახელე—«ჩოლურიანც»-მა: თუნცე ნუ იტყვით!.. დიდის თანაგრძნობით ქებდება იმის ქვეყნის სასიკეთო აზრებს. დიდება თქვენს უსახელობას ბ-ნო «ჩოლურიანცო»... ისტორია აღნუსხავს თქვენს უგმირობას!..

ლუ დ.

—

ჩვენებური ამბები.

ხონი. მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა

გაზეთებში არ დაბეჭდილა და არც იბეჭდება. სააგენტოს დეპეშების ცენზორი მე ვარ და ხაზს ვუსვამ ყოველს ამბავს, რომელიც გასამჟღავნებელი არ არის. მწერლობაში ხმა და მითქმა-მოთქმა მრავლად იბეჭდება, ხოლო ნამდვილი ამბავი არც ერთი არ არის და არც შესაძლოა იყოს. ეს დრო დიდ-მნიშვნელოვანია და ამიტომაცაა მიღებული სასტიკი ღონისძიება. მიბრძანდით, ბატონებო, ხარბინს და 20 მარტამდე იცადეთ. მანამდე ჩვენ ყველაფერს მოვაწყობთ და თქვენც გიშოვნით ბინას. ეხლა-კი, სწორედ მოგახსენოთ, სათქვენოდ არა გვცალიან.

— საწყენია. პოდპოლკოვნიკო, რომ ყოველივე ასე მოხდა და ასე მოულოდნელად. ჩემთვის, კორესპონდენტისათვის, მეტად საყურადღებო დრო დაიკარგება.

— საყურადღებო მომავალშია, გარწმუნებთ. ომი დიდხანს გაგრძელდება. ეხლა ხომ ომი ჯერ არ დაწყებულა. მხოლოდ მზადებაა...

«ტრიბუნას» კორესპონდენტს ეუცხოვა, რომ უთხრეს; ადრე გარჯილხართო. იმან წარუდგინა იტალიის ელჩის მოწმობა, რუსის გენერლების რეკომენდაცია და განაცხადა, ამდენი გაჭირება გამოვიარე გზაშიო.

— სამწუხაროდ, მე არ შემიძლიან თქვენის კერძო საქმეების განხილვას შევუდგე. ნაბრძანები მაქვს და მტკიცედ ვასრულებ. ორთავემ მუკდენი უნდა მიატოვოთ, თორემ დაუყოვნებლივ გაგამგზავრებენ.

სიტყვის შებრუნება აღარ შეიძლებოდა. იტალიელმა სთხოვა, ნება მომეცით ინკოუს წავიდეო.

— ინკოუს შეგიძლიანთ. ეგ ქალაქი რუსეთს არ ექვემდებარება და იქ თავისუფალი ხართ საერთაშორისო ტრაქტატის ძალით. იქ ყოველივე ამბავი მრავლად იშოვება სხვა-და-სხვა წყაროები.

მე გამოველაპარაკე პოდპოლკოვნიკს, როგორ მოხდა, პირველად რომ დაეცნენ იაპონელები პორტ-არტურს-მეთქი?

26 და 27 იანვარს,—სთქვა პოდპოლკოვნიკმა,—ღამე ფლოტის ალღუმი უნდა მომხდარიყო. ნაღმიანი გემები ზღვაზე გავიდნენ და გაიფანტნენ. სადარაჯო ნაღმიანი გემები-კი ესკადრის წინ იდგნენ. როდესაც ნაღმიან გემებს იერიში უნდა მიეტანათ ჩვენს ესკადრაზე, ერთი ნაღმიანი გემი წინ წამოსულა. რუსის ნაღმიან გემის კომანდირს შეუნიშნავს და გოცებით უკითხავს მეზღვაურებისათვის: ეს რა გემიაო? მეზღვაურს ნდომებია ეთქვა, ჩვენიაო, და უთქვამს: «ნევის ქარხნისაო». ჩვენი დიდი გემები უკან იგდნენ, წვრილები-კი წინ იყვნენ გამწკრივებულნი. იაპონელების ნაღმიანმა გემებმა იმათ შორის გამოიარეს და რუსულ ნიშნებით გაიკვლიეს გზა. ერთის კრეისერიდგან დარაჯს დაუძახნია: ვინ მოდისო? და პასუხად მიუღია რუსულად: «გროზნი!» ამ სახელის გემი მართლა იყო ზღვაზე. რუსეთის ესკადრა ელოდა, რომ ჩვენი ნაღმიანი გემები იერიშით მოვლენო და სწორედ ამ გარემოებით ისარგებლეს იაპონელებმა. იმათი გემები რუსებმა თავისად მიიღეს. მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რაც ამბავი იყო, როდესაც ჯავშნიან გემებთან იფეთქა ყუმბარებმა. «ცესარევიჩის» კომანდირი გამოვარდა კაიუტიდგან დ დაინახა, რომ ყუმბარა მოცურავდა, მაგრამ გვიან-ღა იყო... იაპონელებს ძვირად დაუჯდებათ ის ღამე.

მე ვუთხარი პოდპოლკოვნიკ მაქსიმოვს, როგორც მომავალს ჩემს შეფის: მხოლოდ ეხლა გავიგე, რომ შტაბი მუკდენში გადმოსულა და არ შეიძლება პორტ-არტურს წავიდე?

— თქვენ კარგად მოგვსლიათ, რომ მუკდენში გაჩერდით და ცუდად მოგივიდოდათ, პირდაპირ პორტ-არტურს რომ წასულიყავით.

— არ შეიძლება ერთის დღით მაინც ჩავიდე პორტ-არტურს? ბილეთი იქამდე მაქვს აღებული.

— არ გირჩევთ. პორტ-არტურიდგან მაშინათვე გამოგაძევებენ, ან, რაც უფრო ცუდია დაგაპატიმრებენ. 20 მარტს კიდევ გამომიგზავნეთ განცხადება, რომ გსურთ შტაბთან იყოთ, როგორც კორესპოდენტი, და მე ნებართვას გამომიგზავნით.

მე გამოვეთხოვე პოდპოლკოვნიკს და «ტრიბუნას» კორესპოდენტთან ერთად სადგურისაკენ წავედით. ბნელს ღამეში ხან რას ვაწყდებოდით, ხან რას და რაღაც ორმოებში გვივარდებოდა ფეხი.

იტალიელი ინკოუს წავიდა. იმავე ღამეს გავიგე, რომ იმედი არ უნდა ჰქონდეს უკან დაბრუნებისა, რუსის შტაბს თვალსაც ვეღარ მოჰკრავს.

მე გადავწყვიტე ჩრდილოეთისკენ წავსულიყავ სადმე დ პირველისავე მატარებლით ხარბინს გამოვეგზავრე.

ტ ფ ი ლ ი ს ი

⁂ გავახსენებთ მკითხველთ, რომ დღეს, 21 მარტს, დანიშნულია ტფილისის სამეურნეო ბანკის წევრთა წლიური კრება. კრება დილის 11 საათზედ დაიწყება ბანკისავე დარბაზში. კრებამ, სხვათა შორის, დღეს უნდა ამოირჩიოს გამგეობის წევრი, ნაცვლად ვლ. სვ. მიქელაძისა, რომელსაც ვადა გაუთავდა. უნდა ვიფიქროთ, რომ კრებას წევრნი მრავლად დაესწრებიან.

⁂ დღეს, 21 მარტს, მასი მაღალყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ალექსი სწირავს სიონის საკრებულო ტაძარში.

⁂ კიევის სასულიერო აკადემიის საბჭომ ნება დართო ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს ილია ფერაძეს მაგისტრის ხარისხის მისაღებად საბჭოს წარუდგინოს თხზულება შემდეგის შინაარსისა: «საქართველოს სამეფო და ეკკლესია მეთორმეტე საუკუნეში».

⁂ დღეს, 21 მარტს, საღამოს 7 საათზედ, ავლაბრის ოთხ-კლასიან საქალაქო სასწავლებელში გაიმართება სასულიერო კონცერტი შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ. იგალობებს მგალობელთა გუნდი იმავე სასწავლებლისა. გალობის დროს წარმოსთქვამს სიტყვას რუსულს ენაზედ ეპარქიის მისიონერი ა. ი. პლატონოვი ეკკლესიურ სამრევლოზედ და იმისს აღმზრდელობითს მნიშვნელობაზედ, და ქართულად მღვდელი პ. კარბელაშვილი შესანიშნავ ქართველთა მონაზონებზედ უწინდელ საბერძნეთის ეკკლესიაში.

⁂ ნავთლუღში აქამდე რამდენსამე ნაჭერს მიწას მფლობელობდა ქალაქი. ამ ჟამად სხვა-და-სხვა მემამულეებმა განაცხადეს, ეს ადგილები ჩვენ გვეკუთვნისო. ამიტომ ქალაქის გამგეობამ თავისს მიწის მზომელს დაავალა, გამოიკვლიოს, ვის ეკუთვნის ეს ადგილები: ქალაქს, თუ კერძო კაცებს.

⁂ საერობო თანხიდან ამიერ-კავკასიის სწავლა-განათლების საქმისათვის წელს გადაუდვიათ 120,957 მან.

⁂ ხვალ, 22 მარტს, ოზურგეთის ქალაქის რწმუნებულთა კრებაა დანიშნული.

⁂ ტფილისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებას დღეს, 21 მარტს, ტფილისის საკრებულოს დარბაზში კრება ექნება. კრება წარსულის წლის ანგარიშსა და სხვა საგნებს განიხილავს. საზოგადოებას წარსულ წელს მოგება დარჩენია 19,144 მ. 36 კ.

⁂ ამას წინად ვწერდით, ამერიკაში მღვდელი ილია ზოტიკოვი ყოფილა და ჩვენ გვგონია, რომ ის ქართველი უნდა იყოსო. მკითხველთ ვსთხოვდით, თუ იცით ქართული გვარი «ზოტიკაშვილი», გვაცნობეთო. ბათუმიდან ამის პასუხად ერთი წერილი მივიღეთ: «რამდენისამე წლის წინად თელავში გახლდით ფოსტის მოხელედ და მახსოვს, წერილები მოდიოდა «ზატიკაშვილების» სახელზე, რომელნიც ან თვით თელავში უნდა სცხოვრებდნენ, ან რომელსამე მახლობელ სოფელში». სასურველია, თელავიდან ვინმემ მოგვწეროს დაწვრილებითი ცნობანი და ისიც გამოჰკითხოს ზატიკაშვილებს, მათი გვარიდგან ხომ არავინ არის წასული უცხოეთში.

⁂ პარასკევს, 2 აპრილს, დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წევრთა. კრებამ უნდა განიხილოს საზოგადოების წარსულის წლის ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება და დაამტკიცოს ხარჯთ-აღრიცხვა მომავალის წლისათვის.

⁂ თელავში გამართულ მეჯლისიდან 235 მანეთი შემოსულა. ეს ფული რუსეთის წითელის ჯვრის სასარგებლოდ გადაიდო.

⁂ ამ ჟამად დათხოვნილია ტფილისის ყველა სასწავლებელთა მოსწავლენი სააღდგომოდ.

⁂ დღეს დანიშნულია კრება ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიისა, რომელმაც, სხვათა შორის, უნდა განიხილოს დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობის ოთხ-კლასიანის სასწავლებლების პროექტი.

⁂ ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ 1,000 მანეთი გადასდო რუსეთის სამხედრო საჭიროებისათვის, 200 მანეთი-კი ტფილისის ქართველ ქალთა სამკერვალო სკოლის სასარგებლოდ.

⁂ გუშინ, 20 მარტს, ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსიას უნდა დაეწყო რებინა განხილვა სასამართლო საქმეებისა ბათუმში.

⁂ როგორც მკითხველთ უწყიან, მუხრანის ბორანს ამ ჟამად ქალაქის გამგეობა აწარმოებს. ბორანი ყოველ-დღე შემოსავალს იძლევა არა ნაკლებ 25 მანეთისა. სადაც ეხლა ბორანი გადის, მოკლე ხანში იქ ხიდის გაკეთებას დაიწყებენ. პროექტის შედგენას უკვე შეუდგნენ.

ჩვენებური ამბები

ქუთაისი. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით, დღეიდან ყველა მაღაზიები დაკეტილ იქმნება მთელის დღით: კვირაობით და თორმეტ საუფლო დღესასწაულებში, ხოლო სახელმწიფო და სხვა უქმე დღეებში შუადღის 12 საათამდე.

გურულ-მეგრელი

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

გუშინ-წინ, 18 მარტს, ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ განმეორებით წარმოადგინა პ. პროტოპოპოვის პიესა «ცხოვრების გარეშე».

წინა რეცენზიაში უკვე გვქონდა მოხსენებული ამ პიესის ღირსება-მნიშვნელობა და ამიტომ აქ აღარაფერს ვიტყვით იმის მეტს, რომ პიესამ მეორედაც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, ისეთისავე გრძნობით გამსჭვალა მაყურებელის გული, როგორც წინად, და ეს ასე იქნება კვლავაც, შემდეგ წარმოდგენებზედაც, იმიტომ, რომ პიესა ეხება ცოცხალს, დღიურს საგანს, ეხება ყველა ჩვენგანს, ჩვენის ცხოვრების მწარე სატკივარს.

წარმოდგენით პიესა მეორედაც სრულის ანსამბლით იყო წარმოდგენილი. ვ. აბაშიძე (ოსიპი) ტიპიური მზარეული იყო, რომელსაც სხვის სამსახურში გაუტარებია დღენი, დაბეჩავებულა, დაჩაგრულა ორმოცის წლის განმავლობაში ადამიანურ ღირსების შელახვისაგან და დარდის გადასაყრელად არაყის გადაკვრას მიჩვეულა; მსახიობმა კარგად ჩაატარა როლი და ზოგიერთ ადგილას დრამატიზმით სავსე მომენტები დაგვისახა.

ტიპიური ლაქია იყო კ. შათირიშვილიც (იაკობი), მუდამ სხვის სამსახურს მიჩვეული, ავტომატიური აღმასრულებელი სხვის ბრძანებისა, ის გონებრივად და ზნეობრივადაც გახრწნილა და სხვის კარზედ დაბმული ძაღლი ღონე მოახლეების გულის მოგებაში დაუხარჯავს. შათირიშვილმა ეს გარემოება კარგად დაგვისურათა, მხოლოდ ზოგიერთს ადგილებში ოდნავ ამეტებდა; მაგ.: დუნიასთან ლაპარაკისა და სიმღერის დროს გადამეტებულად გვეჩვენება მისი ისე დამახინჯებული სიმღერა და ტანის რხევა. კოხტა ლამაზი მოახლე იყო ა. კარგარეთელი, რომელმაც ცოცხლად დაგვიხატა საწყალის დუნიას ყოფა-ცხოვრება, რამაც იქამდის მიიყვანა, რომ ქმარ-შვილიც გადაავიწყა. კარგი, ტიპიური მეეტლე იყო ვ. გუნია. მაგრამ მშვენიერი იყო ამ საღამოს თავის ბუნებრივის, გულწრფელის თამაშობით მდივანი (პოლია). მსახიობმა ქალმა მშვენივრად დაუხატა მაყურებელს ის აუტანელი, მწარე თავის უიმედობით, გაცოცხლებულ სხვის მოკლებული მდგომარეობა ადამიანისა, როცა გათელილი, შეურაცხ-ყოფილი ნელ-ნელა ცხოვრების ფსკერზედ ეშვება, და წარსულის მწარე მოგონება-ღა აწევს გულზედ ლოდად. აწმყოში-კი ის ფიქრი უწამლავს სიცოცხლეს, რომ იმასაც შეეძლო სხვებივით ეცხოვრა. სხვა'ავით მოეწყო თავისი ბედი, მაგრამ ადამიანმა დაუნდობლად შელახა მისი ადამიანური ღირსება, წაართვა სისპეტაკე გრძნობისა და, რა შეისრულა თავისი ჟინი, მჩვარივით გადაისროლა ტალახში. მდივანმა დიდის ტემპერამენტით გადმოგვცა ეს სულის კვეთება საწყალის პოლიასი და ამით ცოდნა გამოიჩინა ადამიანის ბუნებისა.

კარგები იყვნენ ბატონების წარმომადგენლებიც: კ. ყიფიანი (ტატარხევი), ბ. რონელი (ელენა), და სხვ. არ ვარგოდა მხოლოდ როსტომაშვილის ქალი (ნატალია). დანარჩენები სრულის ანსამბლით თამაშობდნენ.

ვერ გამიგია, რა იქნა ქავარანკოვა მეორე მოქმედებაში?

თეატრი ხალხით სავსე იყო.

ხონზე და... მაგრამ არა, არა, მეშინიან... რომ ჩამომახრჩონ ხონის ბიბლიოთეკაში?! ისევ გავჩუმდე, სჯობია, რომ უკუღმართ ხონის «ინტელიგენტებს» არ ჩოვუგდო თავი ხელში!.. გავჩუმდები-კი, მარა... ვერ ვითმენ, მაინც მინდა «რაცხა» ვთქვა იმ ხონელ «ბურჟუებზე», რომელნიც გააშვერენ მუცელს, ჩაასხამენ შიგ ბლომად შავ ღვინოს, დაალებენ პირს და ამოუშვებენ, რაც უშვერი სიტყვები ან გაუგონიათ სადმე და ან-კი თვითონ შეუთხზავთ. ხან-ამგვარი ღვინით გარუმბული ზოგიერთი «ბურჟუა» მიადგება, თუ-კი სადმე ეგულება, ან იცნობს, კორესპონდენტს და დაუწყებს ლანძღვა-გინებას,—არც მკვდარს და არც ცოცხალს არ დაუტოვებს შეუგინებლად. თუ ამითაც ვერაფერი გახდა და ვერ დაკმაყოფილდა, მაშინ შპიონობასაც კისრულობს და ხმებს ავრცელებს, რომ ესა და ეს კაცი ამისთანა და ამისთანა არისო. ოჰ, რა კარგი იქნება, ჩვენშიაც გაჩნდეს ლორის ჭირი, რომ მუსრი გაავლოს ჩვენებურს შპიონებს.

ეკასშვილი.

—

ს. ამბროლაური. ამ ოთხი წლის წინად გარდაიცვალა უბედურ დღეზე დაბადებული ამბროლაურის უფასო სამკითხველო. ოთხი წელიწადი ზედ ბზობა დღეს გაუხდება; ამიტომ სამკითხველოს ჭირისუფლებს განუძრახავს დღეს, ბზობას, გადაიხადონ მიცვალებულის სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი. სადილი იქნება გამართული არქიპოსის აფთიაქში, რადგან აქ გადასწყდა სამკითხველოს დაარსება. სუფრის გამგებლად, როგორც ამბობენ, იქნებაო მოთავე სამკითხველოს დაარსებისა მ. ნ. კ., რადგან სამკითხველოს საქმე კარგათ წაიყვანა, უსათუოდ ჭამა-სმის საქმესაც აგრე მშვენივრად გაუძღვებაო. ტოლუმბაშათ იქნება სამკითხველოს ერთი რომელიმე წევრი; როგორც საწევრო ფულებს ნაღდად იღებდა, ისე ღვინოსაც ნაღდად გადაჰკრავსო. საზანდრად სამკითხველოს წევრივე იქნება, მაგრამ ახირებული პირობა მოუთხოვნია: ვინც ჭამაში დაგვესწრება, ყველამ ჩემს დაკრულ დაირაზე უნდა ითამაშოსო, რადგანაც უბედურ სამკითხველოს საქმის მართვა-გამგეობაშიაც ყველანი ჩემს ჭკუაზე დადიოდნენო. უბედურება ეს არის: წუხელის ხმა გავარდა: სამკითხველოს გამგეს ვლ—ძეს უთქვამს: სადილისთვის დამზადებულ დოშსა და ხიზილალას მე მოვიტაცებ, რადგან სამკითხველოზე ჩემი ჯამაგირი დარჩაო. ამ ამბავმა ძალიან ჩააფიქრა სადილის გამგენი და არ ვიცით, როგორ იქნება საქმე.

ვანო კესარიაშვილი.

—

ნარევ-ნაკვეს-გასართობი

ლევან დადიანს, სამეგრელოს მთავარს, თუ ვინმე ძღვენს მიართმევდა, აღნიშვნიდგან ამ დღეს და შემდეგ სამუდამოდ ბეგარად დაედებოდა. ვინც აღნიშნულ დღეს ძღვენს არ მიიტანდა, მას «როზგი» არ ასცდებოდა.

ერთმა აზნაურმა ეს ადათი დაივიწყა.

იხმეს ძლვნიანად, გაროზგეს და ასეთი სასჯელი საყოველ-წლოდ მიუსაჯეს. აზნაურმა იცოდა, რომ მთავარს ხუმრობა უყვარდა. ძღვენი მოამზადა, ზედ ოციოდე ბჟოლის მოჭრილი წკნელები დააკრა და ეახლა ბატონს ზუგდიდში.

ეს რა მოგიტანიაო! შეჰყვირა მთავარმა.

— მეფე, ბატონო, სანამ წკნელებს მოიტანდნენ, საოცრად ვიტანჯებოდი, დავინახე თუ არა, ტანჯვის გრძნობა გადამეყარა.

მეფემ გულიანად გადიხარხარა, მოლბა და აზნაური სამუდამოდ გაანთავისუფლა.

—

სამეგრელოს მოციქულმა თადა აშორდიამ, როდესაც ის ქართულ დაბადებიდგან სანიმუშოდ რამდენიმე თავს მეგრულად თარგმნიდა, ერთ ალაგას, არ ვიცი-კი სად, ამოიკითხა: «ღმერთო! სუნნელითა და მუშკითა გაანატე (გაარბილე)... თურმე თედოსი მოციქულმა ეს წინადადება ასე სთარგმნა: «ღმერთო! სულელ თადას მუშტი გაანათეო».

—

ერთმა აზნაურმა მეორეს ჰკითხა: კაცო! რატომ არის, სხვაგან ასე სიხარულით ეგებებიან მშობლების დაკარგვას, ჩვენში-კი ჭეშმარიტის მწუხარებითაო.

— იმე, მიუგო მან, იმათ აუარებელი ქონება რჩებათ, ჩვენ... კი ვალებიო!

ჯაჯუ ჯორჯიკია

—

ერთმა მესამე თუ მეოთხე კლასის გიმნაზიელმა ერთ ქართულ გაზეთის რედაქციას თავი მოაბეზრა თავისი ლექსებით, რომ არ უბეჭდავდნენ, გულს იმითი ინუგეშებდა: «სულელები არიან რედაქციაში, რომ ჩემი ნიჭი ვერ დააფასესო». ამიტომ ერთმა არა პოეტმა თითონ მას გამოუთქვა ქვემორე მოყვანილი ლექსი, რითაც გიმნაზიელი ჭკუაში ჩავარდა და ერთი ლექსიც აღარ დაუწერია.

—

გულ-ნატკენი «პოეტი»-ს აღსარება

ეს მაკვირვებს, როგორ ბედვენ,
ჩემს გრძნობას რომ დასცინიან,
მაგრამ რა ჰქნან, ბეჩავებმა
პოეზიის რა იციან.
აბა, მითხრან—ჩემის მეტმა
ვინ შეამკო ამ ჩვენს დროში
ვაშლი, მსხალი, ზღმარტლი, წაბლი,
კოწახური, შინდი, კომში.
მე ვარ, რითმით რომ ჩავლექსე
ყველი, ხაჭო, დო, მაწონი
არვის ძალუძს დააფასოს
გრძნობა, ნიჭი მოსაწონი!!
ყველი, პური მე შევამკე
ზეგარდამო ჩაგონებით,
ლობიო და ცხელი მჭადი
ვაქე მაღალ მუზის ნებით.
უგუნურთა დაცინებამ
გამარისხა, გამაბრაზა,
მაღალ ნიჭის უარ-ყოფამ
გული სევდით დამიხაზა.
გარდავწყვიტე: უგუნურთა
საჯარიმოდ, დასასჯელად
აწი ლექსი არ დავწერო
საჯაროდ და გასამხელად.

ს—ო ბ—ჯი

—

დ ე პ ე შ ა.

(შურდულის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 მარტი.

კავთისხევი. (გორის მაზრა). ჩვენსკენ მედავითნეები საუცხოვოდ ემზადებიან ომისთვის, ალღუმებზე გასაოცარ ნიჭს იჩენენ: ერთმა ამათგანმა სამიკიტნოზე მიიტანა იერიში და თვით სარდალს —მიკიტანს ისე მარჯვედ მოსცხო ხელადა შიგ შუბლში, რომ კინაღამ ფეხები აფშეკინა. მეორემ კიდევ დღეს დასცა თავზარი მოწესრიგეს, და თუ განგებას არ არ გადაერჩინა, ხვალ-ზეგ «სულთა თანას»-ს დასძახებდნენ კაკალ კაცს.

ამბროლაური. (რაჭა). ამას წინად „შურდულში“ დაბეჭდილმა ამბროლაურიდან დეპეშამ დიდი ალიაქოთი ასტეხა იქაურ მანდილოსანთა შორის. დაჰქონდათ «ივერია» და ერთმანეთს შესჩიოდნენ: ნატავ გვაჩინა «შურდულის» რედაქტორი ია ეკაძე და ამ დეპეშის გამგზავნი, სულ თავ-პირს ჩამოვაკაწრავთო. მანდილოსნებს თურმე იერიში ერთ ხუცესზედ მიუტანიათ: შენ იქმნები იმ დეპეშის გამგზავნიო. ხუცესს უთქვამს: «ვიჯმნი ეშმაკისაგანო», იცოდეს ღმერთმა, ჩემი გაგზავნილი არ არისო. ვისაც პილპილი არ უჭამია, იმას პირი არ დაეწვისო.

თელავი. ჩვენი «გოლოვა» ქუჩაში ლაფში ჩაფლულა. როგორც შევიტყეთ, ლაფის ტალღებს გაუტაცნიათ, ანდერძი კი, როგორც ყოფილა, დაუტოვებია:

ჩემგანვე შემქნილ შავბნელ ტალახში
მსურს განვისვენო ნეტარად ტკბილად!.

ჭელი. (რაჭა). ერთი წესრიგის მეთვალყურე დათვრა, გაიხადა ჩოხა-ახალუხი და ყველა გამვლელ—გამომვლელს საჭიდაოდ იწვევდა. ბოლოს იერიში გზაზე მომავალ ქალებზედაც მიიტანა. ამისთანა ვაჟკაცობისათვის ამ ვაჟბატონს მოუვიდა მენდალი პრასის ლენტით.

—

შურდულის ფოსტა.

ხ ო ნ ი. ვ. ჰ. ლექსი «ხონელ ექიმებს“ მოიკოჭლებს ისე, როგორც თვით ხონელი ექიმები, ამიტომ ვერ ვბეჭდავთ. შეგიძლიან კი წერა, თუ დაუკვირდებით. „ოცჯერ ზომვა, ერთხელ ჭრაო“, ხომ გაგიგონიათ, ასრე მოიქეცით.

ი ქ ვ ე. ი. ბ—ე. თქვენი „სიზმარი“ არ დაიბეჭდება. ძრიელ დიდი კაცები გინახამს. ნუ დაგვივიწყებ...

ც ხ ი ნ ვ ა ლ ი. რ ე ბ უ ს ს. რად დაგვივიწყე?!.

ტ ფ ი ლ ი ს ი. ა. გან—კ—ს. „მწარეა შხამზედ“ არ გამოგვადგა. სხვა რამ მოგვაწოდეთ. გულს ნუ გაიტეხთ.

ქ. ფ ო თ ი. „ს კ ვ ი ნ ჩ ა“. ვეღარ ვბეჭდამთ, ერთობ გამწვავდა საქმე... პირადობაზე მიდის საქმე და ვაი თუ ერთობ არა სასიამოვნო შედეგი მოჰყვეს... მაინც ნუ დაგვივიწყებთ.

რედაქტორ-გამომცემელი ია ეკაძე.

დეპეშა

რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 მარტი.

ლიაოიანი. (საკუთ. კორესპ.) პირველმა ბრძოლამ რუსთა და იაპონელთა ჯარისამ ჩრდილოეთ კორეაში ბრწყინვალე გამარჯვება მიანიჭა რუსეთის მახვილს. ზარალი იაპონელებისა ათჯერ მეტია რუსებისაზედ. კორეველთა ცნობებით, იაპონელებმა დამარხეს 50 მოკლული და დაიჭირეს 500 კორეველი 120 დაჭრილ იაპონელის წასაყვანად. ისე მეტის-მეტად დაებნა თავ-გზა იაპონელებს, რომ ორი ალამი გამოჰკიდეს წითელის ჯვრისა ნიშნად შეწყალებისა. ასე თავ-გზა არ დაჰბნევიათ იაპონელებს ჩინეთთან ომში.—17 მარტს ყაზახთა პოლკებმა იდღესასწაულა სამხედრო დღეობა ალექსისა, ღვთის კაცისა, პრიამურის ყაზახთა მფარველისა; პარაკლისის შემდეგ წარმოთქმულ იქმნა მრავალ-ჟამიერი რუსეთის სამხედრო ძალთა დიდის სარდლისათვის. ყაზახთა დღესასწაული სწორედ იმ დღეს მოჰხვდა, რა დღესაც მოვიდა ამბავი პრიამურის ყაზახთა პირველის ბრძოლისა იაპონელებთან, რომელნიც ისე სასტიკად იქმნენ ძლეულნი.—ლიაოიანის ჯარში საერთოდ დიდი აღფრთოვანებაა, რომელიც გამოიწვია რუსთა პირველის ბრწყინვალე ბრძოლის ამბავმა კორეაში.

ოდესა. ზარბაზნების გრიალმა გვამცნო გემის «მალაიას» გამოჩენა ზღვაში. ერთს საათს უკან «ვარიაგის» გმირნი გადმოვლენ მშობელ კიდეზედ. მისაგებებლად გაემართება ფლოტილია გემებისა, იახტებისა და ნავებისა მუსიკითა და საზოგადოებით. ნავთ-საყუდელის უფროსი ჩააბარებს ზღვაში პეტერბურგიდან გამოგზავნილს გიორგის ჯვრებს მეზღვაურთ, ხოლო «ვარიაგის» მღვდელს, მამა მიხეილ რუდნევს, მკერდის ოქროს ჯვარს გიორგის ლენტით. ჯარები და სასწავლებელთა შეგირდები მწკრივად სდგანან მორთულ და მოკაზმულ ქუჩებში; მთლად ქალაქი ნავთსადგურისაკენ მიისწრაფის.

განჯა. ყაზახის სამაზრო პოლიციამ შეიპყრო მკვლელი გენერალის ლისოვსკისა.

ლონდონი. («რეიტერის სააგენტო»). ტუნიდან იუწყებიან, რომ დიდი ბრძოლა მოუხდათ ბრიტანიის ექსპედიციასა და თიბეთელებს. ორის შებრძოლების შემდეგ, თიბეთლებს უკან დააწევინეს და თან დიდი ზარალიც მისცეს. ბანაკი თიბეთლებისა გურუს ახლოს აღებულ იქმნა. იუწყებიან კიდევ, რომ პოლკოვნიკი იონხესბანდი და გენერალი მაკდონალდი კიდევ უფრო შორს წავიდნენ და ტუნიდან ოთხის მილის მანძილზედ შეჰხვდნენ თიბეთლების სარდლებს. სარდლებმა გაჯიუტებით მოითხოვეს, დაბრუნდეს უკან ექსპედიციაო. ინგლისელებმა ყურადღება არ მიაქციეს სარდლებს და განაგრძეს წინ-სვლა. თიბეთლები, წაქეზებულები თავიანთ სარდალთა ჩაგონებით, უცებ წინაღუდგნენ და დაუწყეს ინგლისელებს სროლა კაჟიანის თოფებით; ორი შებრძოლება მოჰხდა. ინგლისელებს მოუკლეს 12 კაცი, ხოლო თიბეთლებს 400-მდე კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. მათ შორის არის თიბეთის გინერალიცა.

იაროსლავლი. გაემართა შორეულს აღმოსავლეთს სანიტართა რაზმი, აქაურს წითელ ჯვრის მმართველობის მიერ შედგენილი ქალაქისა და გუბერნიის ხარჯით.

იალტა. აქაურის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თაოსნობით, შესდგა დროებითი კომიტეტი, რომელმაც შემწეობა უნდა აღმოუჩინოს ავადმყოფებსა და დაჭრილთ შორეულს აღმოსავლეთში. პოპოვები თავიანთ აგარაკს ქსენონის მოსათავსებლად იძლევიან. ქსენონის გამგეობა უსასყიდლოდ იკისრა დოქტორმა ალტშულერმა.

პორტ-არტური (საკუთ. კორესპ.). 13 მარტს ჩვენი ესკადრა გავიდა ზღვაში. დილის 11 საათზედ «ნოვიკიდგან» შეჰნიშნეს გემი, რომელსაც გამოება ზედ ჩინეთის ნავი; გემი გაჩერდა მხოლოდ მეორედ ზარბაზნის გასროლის შემდეგ· ზარბაზანი გაისროლა ნაღმიანმა გემმი «ვნიმატელნიმ». აღმოჩნდა, რომ იაპონიის გემი «ხანიენმურა» იყო. გემზედა და ნავზედ იყვნენ 10 იაპონელი და 11 ჩინელი, იპოვეს სხვა-და-სხვა ქაღალდები, დეპეშა, რუკანი და ორი ნაღმი უაიტხედისა. კაცნი შეიპყრეს, გემი უკან გამოიბეს და შემდეგ ყუმბარებით დააცხავეს. ამის შემდეგ «ნოვიკი» და ნაღმიანი გემები შევიდნენ პორ-არტურს.—«ნოვი კრაიმ» დაჰბეჭდა დაწვრილებით აღწერა იმ ღამე მომხდარის ბრძოლისა, 14 მარტს, რომელშიაც მიიღეს დაახლოვებული მონაწილეობა საკანონერო ნავმა «ოტვაჟნიმ» და ნაღმიანებმა «სილნიმა» და «რეშიტელნიმ».—6 მარტს, რაკი 6 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც რუსებმა პორტ-არტური დაიჭირეს, გადახდილ იქმნა სადღესასწაულო ღვთის-მსახურება მეციხოვნეთა ეკკლესიაში და გაიმართა პარადი ჯარისა.—17 მარტს დიდის ხალხის თანადასწრებით დაასაფლავეს შესაბამის ლიტანიობით 14 მარტს დახოცილი გმირები — ინჟენერ-მექანიკოსი ზვერიოვი და შვიდი მეზღვაური ნაღმიანის გემის «სილნისა».—17 მარტს მობრძანდა დიდი მთავარი ბორის ვლადიმერის-ძე, რომელსაც მიეგებნენ მთავრობა და მოქალაქენი. —18 მარტს მოვიდა მეფის მოადგილე შტაბის უფროს გენერალ ჟილინსკითურთ და იმავე დღეს დაათვალიერა ესკადრის გემები.—პორტ-არტურის მიდამოთა შორის მშვიდობიანობაა.

მოსკოვი. მოსკოვისა, პორტ-არტურისა და ხაბაროვსკის საეკონომიო საზოგადოება ჰმართავს ნუზლ-სანოვაგის საწყობს ბრძოლის ველზე მყოფ ოფიცერთათვის.

რომი. გაზ. «იტალია» აცხადებს, რომ ხმები პაპის წინააღმდეგ ანარქისტთა შეთქმულობის შესახებ, საფუძველს მოკლებულიაო.

ბელგრადი. ოფიციალური გაზეთი აცხადებს: პირველი ადიუტანტი მეფისა, პოპოვიჩი, დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, ხოლო მისს ადგილზე დაინიშნა პოდპოლკოვნიკი მილოსოვიჩიო. დათხოვნილ იქმნენ აგრედვე მეფის სხვა ადიუტანტები და მახლობელნი, რომელნიც დროებითის მთავრობისაგან იყვნენ დანიშნულნი. სამი მაიორი დანიშნულ იქმნა ადიუტანტად და სამი კაპიტანი—მეფის მხლებლად. პოლკოვნიკი მაშინი მთავარშტაბის უფროსად დაინიშნა.

ნიუ-იორკი. («რეიტ. სააგენტო»). ქ. ლიმაში მყოფი შეერთებულ შტატების ელჩი იუწყება, რომ ლიმაში შავი ჭირი გაჩენილა, რომელიც ხალხს მუსრს ავლებს.

სტამბოლი. გენერალ-ინსპექტორმა ხილმი-ფაშამ აუწყა სამოქალაქო აგენტებს, რომ რეზიდენცია მონასტირში უნდა გადავიტანო, რადგან სალონიკში საპოლიციო რეფორმა უკვე დასრულდაო.

ლიტტლტონი. (ახალი ზელანდია). ინგლისის გემი «დისკოვერი», რომელიც სამხრეთ-პოლიუსის ექსპედიციაში იყო წასული, 1901 წლის დეკემბერში მოვიდა აქ და თან მოჰყვა მისს საძებნელად გაგზავნილი რამდენიმე გემიც.

ლონდონი. («რეიტერის სააგენტო»). პოლკოვნიკის იონგჰეზბადის საექსპედიციო რაზმისა და თიბეთელების შეტაკების დროს 1,500 თიბეთელთაგან მხოლოდ ნახევარი გადარჩა.

ვენა. გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის სავაჭრო ხელ-შეკრულობას მესამედ წაიკითხავენ აპრილის ნახევარს.

სტამბოლი. უფროსი ინსპექტორი იუწყება, უკანასკნელ დროს ალბანიასა და დიაკოვში აჯანყებულთა უფროსები დაგვმორჩილდნენ და ამ რიგად ეს მოძრაობა გათავებულად უნდა ჩაითვალოსო.

სტამბოლი. პორტამ აცნობა დაკავშირებულ სახელმწიფოების ელჩებს, რომ 25 აფიცერს და უნტერ-აფიცერზე მეტს ვერ მივიღებ მაკედონიის ჟანდარმერიაშიო.

სოფია. (საკუთ. კორესპ.). მაკედონიიდგან იტყობინებიან, რომ ბულგართა და ბერძენთ შორის მტრობა გაძლიერდაო.

ოფიციალურის ცნობებით მტკიცდება, რომ ბერძენს ვასილს სტრუმიცაში ბულგარიის მიტროპოლიტის მოკვლა სდომებია. მიტროპოლიტმა რამდენიმე უსახელო წერილი მიიღო. ჰფიქრობენ, ოსმალეთის მოხელეები აქეზებენ ბერძნებს ბულგარიის წინააღმდეგ, რომ ამით სხვებიც შეასუსტონ.

სტამბულოვის მკვლელს ხალიუს, რომელსაც ნაფიცმა მსაჯულთა სასამართლომ სიკვდილი გადაუწყვიტა, სააპელაციო სასამართლომ თხუთმეტის წლით დაპატიმრება მიუსაჯა.

მოსკოვი. წინამძღოლთა საბჭოს დადგენილება გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, თავადმა ტრუბეცკოიმ, მოახსენა ხელმწიფე იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს და შემდეგ პასუხს ეღირსა: „გთხოვთ გარდასცეთ მოსკოვში შეკრებილ თავად აზნაურთა წინამძღოლთ ჩემი გულითადი მადლობა გულ-უხვ დახმარებისათვის, რომელიც თავად აზნაურთა ორგანიზაციამ აღმოუჩინა დაჭრილ და ავადმყოფ ჯარის-კაცთ, არამც თუ ქონებით, არამედ პირადის შრომითაც. პირადი მონაწილეობა რუსეთის სხვადგან თავად-აზნაურთა დიდად სასარგებლოა კაცთ-მოყვარეობის უდიადეს საქმეში, რომლის სათავეშიაც წითელი ჯვარი სდგას“.

«მარიამი.»

20 მარტი.

პეტერბურგი. კომანდირმა ოფიცერმა და მოსამსახურეთ ნაღმოსნის «სილნისამ« მადლობა შეუთვალეს ყველა იმათ, ვინც იმათ თანაგრძნობა გამოუცხადეს 14 მარტს მომხდარ ბრძოლისათვის.

კიევი. 18 მარტს, 8 საათზე საღამოთი, წავიდნენ დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოოზის ძე და დიდი მთავრინა მილიცა ნიკოლოოზის ასული.

ადესა. 19 მარტს, სამ საათზე, გემი «მალაია» მოვიდა, ნაპირს გადმოვიდა უფროსი აფიცერი სტეფანოვი. ამას მიეგება მღვდელი მ. იონა ატამანსკი წმინდა ნიკოლოოზის ხატით და დალოცა, შემდეგ მივიდა ჯარების უფროსი ბარონ კაულბარსი და გადაჰკოცნა სტეფანოვი. აუარებელი ხალხი, ჯარები და ყველა გემების მეზღვაურნი მიეგებნენ სტეფანოვს და მეზღვაურთა «მალაიაზე» და გაისმოდა დაუსრულებელი „ურა“. სტეფანოვი დაბრუნდა გემზე და გადმოიყვანა ნაპირს მეზღვაურნი. ყველა მეზღვაური ემთხვია წმიდა ნიკოლოოზის ხატსა. ნაპირზე დარაზმულს მეზღვაურთ ჯარების უფროსმა სიტყვა უთხრა, აღნიშნა იმათი გმირობა და უთხრა, რომ მთელი რუსეთის ყურადღება «ვარიაგის» გმირებზეა მოქცეულიო. მთელი ოდესა გამოვიდა იმათ დასახვედრად. დიდძალი დეპეშები მოვიდა სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან. ბარონ კაულბარსმა დაიძახა «ურა» ხელმწიფე იმპერატორის სადიდებლად, მადლობა უთხრა გმირობისათვის, შეაქო ჩემულპოს გმირები და გადაჰკოცნა «ვარიაგის» აფიცრები». შემდეგ წავიდნენ ქალაქს. წინ მიდიოდა ნავთსადგურის სამღვდელოება ხატებითა და იმათ შორის «ვარიაგის» მღვდელიც მამა მიხეილ რუდნევი, რომელსაც გულზე ეკიდა ოქროს მკერდის ჯვარი გიორგის ლენტით, მათ შემდეგ მუსიკის ხოროები, გენერლობა, ხალხი და «ვარიაგის» მოსამსახურენი. გზა-გზა ჰკოცნიდნენ მეზღვაურთ, ხელში იტაცებდნენ. ერთის სიტყვით გამოუთქმელი აღტაცებაა. მეზღვაურთ ვაჟკაცური გამომეტყველება აქვთ; სუფთად არიან ჩაცმულნი; დაჭრილნი გზაში იმდენად მორჩენილან, რომ რაზმში ერივნენ; ფეხში დაჭრილი მიჩმანი ბალკი მხნედ მოდიოდა, თუმცა ცოტათი კი მოიკოჭლებდა. მძიმე ავადმყოფნი დაუტოვებიათ ჩვენის კონსულების მზრუნველობის ქვეშ. ჰერცოგ რიშელიეს ძეგლთან მეზღვაურთ დაუხვდა უმაღლესი სამღვდელოება, ქალაქის საბჭო, დეპუტაციები. მეუფე იუსტინემ დალოცა, ჯვარი გადასწერა მეზღვაურთ, და შემდეგ გასწიეს ბულვარით საბჭოს მოედანზე განსაკუთრებით აგებულს პავილიონისაკენ, სადაც ქალაქის თავმა კაპიტან სტეფანოვს პურ-მარილი მიართვა ვერცხლის სინზე, რომელსაც შემდეგი წარწერა აქვს: «მოკითხვა ოდესის გმირებს, რომელთაც ქვეყნიერება გააკვირვეს». შემდეგ გადიხადეს პარაკლისი აქედან საბანის ყაზარმებში გაემართნენ, სადაც 16-ე მსროლელ პოლკმა სადგომები მოუმზადა და ამხნაგური სადილი გაუმართა. გზაზე ჩამწკრივებული იყვნენ ჯარის კაცნი, რომელთაც ვერ შეიკავეს ხალხის აღტაცება მეზღვაურთადმი; ესროდნენ ყვავილებს, ჰკოცნიდნენ, აქანავებდნენ ჰაერში და ასე ხელში აყვანილი ყაზარმებამდე მიჰყავდათ· სადილზე ჯარის უფროსმა აიღო ჭიქა და დალია ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო. მერე მიუბრუნდა მეზღვაურთა და მშვენიერს სიტყვაში აღნიშნა იმათი გმირობის მნიშვნელობა რუსეთის ისტორიისათვის. კაპიტანმა სტეფანოვმა გულითადი მადლობა გამოუცხადა ჯარების უფროს ამისთანა დახვედრისა და მაღებისათვის, შემდეგ ქალაქეტს და მადლობა გამოუცხადა მთელს ადესას გულითადის და აღტაცებულის დახვედრისათვის. ქალაქეტმა სთქვა, მე და ადესელები ბედნიერნი ვართ, რომ პირველად ჩვენ გვერგო ხილვა «ვარიაგის» გმირებისა, განაცხადა, რომ იმათ სახელზე ჩვენის გმირებისათვის მოვიდა ადესის სხვა-და-სხვა პირთა და დაწესებულებათაგან ფულები და წაიკითხა დეპეშები ხერსონის ერობისა, თავად-აზნაურთა წარმომადგენლებისა და სხვათა მოკითხვა გენერალ ბოლდანოვიჩისა, რომელმაც გამოუგზავნა სურათები. შემდეგ ლოცვა წაიკითხეს და მასპინძელმა, უფროსმა მე-16-ტე მსროლელ პოლკისამ მიიწვია სტუმრები სადილზე. «ვარიაგის» ოფიცრები საუკეთესო ლონდონის» სასტუმროში დააბინავეს, დღეს ამათ სადილი გაუმართეს ინჟენერების სასწავლებელში, სადაც დაესწრება ჯარების უფროსი, საღამოთი გაიმართება წარმოდგენა. რომელზედაც მიწვეულნი არიან აფიცრები და მეზღვაურნა. 20 მარტს, დღის სამ საათზე მეზღვაურნი სევასტოპოლს წავიდნენ.

ბლაგოვეშჩენსკი. ჩინელები ქალაქს სტოვებენ. ვაჭრებიც მიდიან. ქალაქში 1,245-მდე ჩინელი ირიცხება. ვინც ქალაქში დარჩნენ, გუბერნატორს მიჰმართეს და სთხოვეს, თუ ვინიცობაა ჩინეთმა ნეიტრალიტეტი დაარღვია, როგორც ჩვენ, ისე ჩვენი ქონებაც, უზრუნველყოფილ იქმნას რუსეთის მთავრობისაგანაო.

პეტერბურგი. 19 მარტს შორეულ აღმოსავლეთიდგან ოფიციალური ცნობები არ მოსულა.

სევასტოპოლი. 21 მარტს მოელიან პირველს ჯგუფს კრეისერ «ვარიაგის» კომანდირისას კაპიტანის სტეფანოვის მეთაურობით. მთავარ საზღვაო შტაბიდგან მიღებულია 29 ღრამოტა და ორდენები ჩემულპოსთან მომხდარ ბრძოლის გმირთათვის დასარიგებლად. გუშინ ადმირალმა სკრიდლოვმა შემდეგი დეპეშა მიიღო: «მაქვს პატივი ვაუწყო თქვენს აღმატებულებას, რომ დღეს მშვიდობით მოვედით ოდესაში. კომანდასა და აფიცრებს ბედნიერება ჰქონდათ თქვენის აღმატებულებისაგან მიეღოთ პირველი მისაგებებელი დეპეშა სტამბოლს. შავის ზღვის ფლოტის მე-2 ხარისხის კაპიტანი სტეფანოვი».

ქალაქმა ჩემულპოს გმირებს ადრესი უნდა მიართვა ვიცე-ადმირალმა სკრიდლოვმა ნება დართო, რომ ამ ადრესისთვის ჩარჩო გააკეთონ იმ მუხის ნაჭრისაგან, რომელიც ყირიმის ომში დაღუპულ გემის «ჩესმა»-საგან ამოიღეს წყლიდან.

ირკუტსკი. 18 თებერვლიდან ბაიკალით საზამთრო ლიანდაგის გზით გადაიტანეს 1,693 დახურული ბარგის ვაგონი, 411 სათბური ვაგონი, 262 პლატფორმა, 65 ორთქლ-მავალი და 25 საკლასო ვაგონი. გზას ჰშლიან. მთლად ეს საქმე 250,000 დაჯდა.

ნიუ-ჩუან`. (რეიტ. საგენტო“). როგორც ისმის, აქ მდგომი 11 გემი გაათავებს თუ არა დატვირთვას, ნავთ-სადგურსა და მდინარის შესავალს დაჰკეტავენ და ნაღმით მოჰკირწყლავენ. ნავთსადგურის დაცვის მზადებას გულმოდგინედ განაგრძობენ. შეერთებულ შტატების კონსულმა მილლერმა გამოუცხადა აქ მცხოვრებ ამერიკის ქვეშევრდომთ, რომ შეერთებულმა შტატებმა შეიწყნარა რუსეთის მთავრობის დეკლარაცია ნიუ-ჩუანის სამხედრო დროის წესრიგის შემოღების შესახებ.

ტოკიო («რეიტ. საგენტო»). იაპონურ კერძო ცნობებით, იაპონელებმა 15 მარტს უკან დააწევინეს რუსებს ჩონჩჟიუდგან და უკარვოდ დაბანაკდნენ ერთ დღეს; მეორე დღეს წაიწიეს იონჩჟიუსაკენ, სადაც, მცირე შებრძოლების შემდეგ, რუსებს უკან დააწევინეს ჩრდილოეთით. რუსებმა დაიხიეს უზნანისაკენ.

ლონდონი. («რეიტ. სააგ.»). ოფიციალურის დეპეშით მტკიცდება წინად მიღებული დაწვრილებითი ცნობები თიბეთში მომხდარის ბრძოლის თაობაზედ. ინგლისელებისა მხოლოდ რამდენიმე კაცი დაუჭრიათ, თიბეთლების ზარალი-კი—300 დაჭრილი, მოკლული და ტყვედ წაყვანილია. ინგლისელებმა თიბეთლებს წინადადება მისცეს, იარაღი დაჰყარეთო, მაგრამ მათ უარი განაცხადეს. როდესაც ინგლისელნი შეეცადნენ, იარაღი აეხსნათ თიბეთლებისათვის, მათ წინააღმდეგობა გაუწიეს ხმალ-ხანჯლითა და თოფ-ზარბაზნის სროლით, რაზედაც ინგლისელებმაც თოფ-ზარბაზნის სროლითვე უპასუხეს.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

ქალაქიდგან წასვლის გამო იყიდება

დუქანი

კირპიჩნაიას ქუჩა № 45. (1—75—1).

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ქამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.

ნავთ-სამრეწველო ამხანაგობის

„შეძაბე“

გამგეობა მოიწვევს ბბ-ნთ პაის პატრონთ ჩვეულებრივს წლიურს კრებაზედ, რომელიც დანიშნულია სამშაბათს, 30 მარტს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში.

განსახილველი საგნებია:

1) განხილვა და დამტკიცება მეორე საანგარიშო წლის ანგარიშისა, რომელიც ორ ნაწილად არის შედგენილი (1902 წლის 1 მარტიდან 1905 წლის 1 ივლისამდე და 1903 წლის 1 ივლისიდან 1904 წლის 1 იანვრამდე).

2) განხილვა და დამტკიცება 1904 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლისა ხარჯთ-აღრიცხვისა.

3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა.

4) მოხსენება კ. ი. ხატისოვისა, რომ დაჯილდოვებულ იქმნენ წევრნი გამგეობისა და

5) არჩევანი სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და ორის მათის კანდიტატისა, თუ ვინიცობაა კანონიერი რიცხვი პაის პატრონთა არ გამოცხადდა, მეორ. კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება, რამოდენი წევრიც უნდა დასწრობდეს დაინიშნება იმავე ადგილას კვირისათვის, 4 აპრილს, დილის 10 საათზედ.

(1—1)

საყურადღებო განცხადება

თუმცა პასკებს (ბაბკებს) ბევრი აცხობს, მაგრამ ჯერ ბევრს-კი არ აქვს შესწავლილი ნამდვილი ხელობა პასკების კარგად გამოცხობისა, რის გამოც მყიდველი ხშირად სტყუვდება. ამისათვის მაქვს პატივი ვაუწყო საზოგადოებას, რომ

არ. ივ. ალიხანოვის

საკანდიტეროში

(ვორონცოვის ძეგლთან)

სააღდგომოდ მზადდება დიდძალი პასკები და «კულიჩები».

ჩემს სახელოსნოში პასკები საუკეთესო მასალიდან კეთდება და ყოველთვის საუცხოო გემო აქვს, რაშიაც პატივცემული საზოგადოება ძლიერ ადვილად დარწმუნდება. გთხოვთ არავის დაუჯეროთ, ვითომც სხვაგანაც იყიდებოდეს ჩემი პასკები. მარტო ჩემს საკანდიტეროში იშოვება ჩემგან გამომცხვარი პასკები და არსად გასასყიდად არ ვაძლევ.

Дрожжевой заводъ К. ШУРЪ.

ტელეფონი № 276. პატივისცემით არ. ივ. ალიხანოვი.

(2—77—1).

Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ арм. домъ, семиарiи.